



საქართველოს ეროვნული ბანკი
National Bank of Georgia

შპს-ის თვის პროგნოზი

2026

ინფლაცია	3
საბანკო სექტორი	5
საბარეო სექტორი	7
სავალუტო ბაზარი.....	10
ფულადი ბაზარი.....	13
მონეტარული აგრეგატები.....	14

“თვის მიმოხილვა“
მომზადებულია საქართველოს ეროვნული ბანკის
მაკროეკონომიკისა და სტატისტიკის დეპარტამენტის მიერ

ყოველთვიური პუბლიკაცია


ISSN 1512-1259

ინფლაცია


აპრილში წლიურმა ინფლაციამ 5.9% შეადგინა, ხოლო მარცთან შედარებით ფასების საერთო დონემ 1.7%-ით მოიმადა. ახლო აღმოსავლეთში რთული ვითარებისა და ტრანსპორტირების შეფერხებების ფონზე, ნავთობის საერთაშორისო ფასებმა მკვეთრად მოიმადა. შედეგად, საწვავის ფასებს გლობალურად და მათ შორის საქართველოში, ზრდის ტენდენცია აქვს და ინფლაციაზე ზრდის მიმართულებით აისახება.

რაც შეეხება შედარებით ხისცი ფასების საზომებს, საბაზო ინფლაციამ, რომელიც სამომხმარებლო კალათიდან მერყევ სურსათის, ენერგომადარებლების და თამბაქოს ფასებს გამორიცხავს, აპრილში 3.2% შეადგინა, ხოლო მომსახურების ინფლაცია დაჩქარდა და 3.7%-ს გაუცოლდა.

თვის ინფლაცია 1.7% (მნიშვნელოვანი წვლილები)



წლიური ინფლაცია 5.9% (მნიშვნელოვანი წვლილები)




წყარო: საქსტატი; საქართველოს ეროვნული ბანკის გაანგარიშებები

აპრილში, გასულ თვესთან შედარებით, საწვავის ფასებმა ზრდა განაგრძო. ბენზინი და დიზელი საშუალოდ, შესაბამისად, 9% და 17%-ით გაძვირდა, ხოლო ამ ორი პროდუქტის ჯამურმა წვლილმა თვის ინფლაციაში 0.48 პროცენტული პუნქტი (პპ) შეადგინა. ასევე, თვის წრილში, ელექტროენერჯის გადასახდელის მატებაც ინფლაციაზე ზრდის მიმართულებით აისახება და 0.48 პპ წვლილი შეაქვს.

წლიურ წრილში, ინფლაციის მატებაზე სურსათი კვლავ მნიშვნელოვან გავლენას ახდენს. აპრილში სურსათის ინფლაციამ 8.1%, ხოლო წვლილმა ინფლაციაში 2.4 პპ შეადგინა. აქედან ყველაზე დიდი გავლენა პურს (0.5 პპ) და ძროხის ხორცს (0.5 პპ) ჰქონდა. სხვა პროდუქტებიდან აღსანიშნავია ოქროს ბეჭედის (0.3 პპ), სიგარეტის (0.3 პპ) და ჯანმრთელობის დაცვის ჯგუფის (0.4 პპ) წვლილები.


ინფლაციაზე შემცირების მიმართულებით ყველაზე მეტად საყოფაცხოვრებო ტექნიკის გაიფხვმა მოქმედებს. ტელევიზორის, მაცივრის, სარეცხი მანქანის და კომპიუტერის გაიფხვამ ჯამში ინფლაცია 0.3 პპ-ით შემცირდა.

მთლიანი და საბაზო ინფლაცია



წყარო: საქსტატი


ჯგუფების წვლილი მთლიან ინფლაციაში




წყარო: საქსტატი; საქართველოს ეროვნული ბანკის გაანგარიშებები

აპრილში ადგილობრივად წარმოებული პროდუქტების წლიურმა ინფლაციამ 5.9% შეადგინა. ადგილობრივი ინფლაციის ზრდაზე ყველაზე მეტი გავლენა პურის, ხორცისა და ყველის ფასებს აქვს (ჯამში 3.1 პპ). შერეულად წარმოებული პროდუქტების ინფლაციამ, პირველ რიგში, ელექტროენერჯის (1.8 პპ) გაძვირების გამო, 8.3%-მდე მოიმადა. ამის გარდა, დიდი წვლილი შერეულ ინფლაციაში ოქროს ბეჭედს, პომიდორს, შოკოლადს და ზეთს (ჯამურად 3.1 პპ) აქვს. იმპორტირებული პროდუქტების ინფლაციამ 3.6%-მდე მოიმადა და ამის მთავარი მიზეზი საწვავის (3.3 პპ) გაძვირებაა.

იმპორტული, შერეული და ადგილობრივად წარმოებული პროდუქციის ინფლაცია და მათი წვლილები მთლიან ინფლაციაში



წყარო: საქსტატი



წყარო: საქსტატი


ინფლაცია ჯგუფების მიხედვით	2026 წლის წონები	აპრ26/მარ26		აპრ26/აპრ25	
		ინფლაცია	წვლილი	ინფლაცია	წვლილი
სულ	100.0%	1.7%	1.7%	5.9%	5.9%
სურსათი და უალკოჰოლო სასმელები	33.6%	0.5%	0.2%	7.5%	2.5%
სურსათი	30.8%	0.6%	0.2%	8.1%	2.4%
პური და პურპროდუქტები	6.3%	0.5%	0.0%	7.7%	0.5%
ხორცი და ხორცპროდუქტები	7.0%	0.7%	0.0%	10.1%	0.7%
თევზი	0.5%	1.6%	0.0%	21.3%	0.1%
რძე, ყველი და კვერცხი	6.3%	-1.5%	-0.1%	4.5%	0.3%
ზეთი და ცხიმი	2.7%	0.1%	0.0%	6.3%	0.2%
ხილი, ყურძენი	1.8%	3.7%	0.1%	11.8%	0.2%
ბოსტნეული, ბალჩეული, კარტოფილის და სხვა ბოლქვოვანების ჩათვლით	3.0%	2.1%	0.1%	9.3%	0.3%
შაქარი, ჯემი, თაფლი, სიროფები, შოკოლადი, საკონდიტრო ნაწარმი	2.8%	2.1%	0.1%	7.3%	0.2%
კვების სხვა პროდუქტები	0.6%	-0.2%	0.0%	2.0%	0.0%
უალკოჰოლო სასმელები	2.8%	-1.4%	0.0%	1.6%	0.0%
ალკოჰოლური სასმელები და თამბაქო	6.6%	0.1%	0.0%	6.5%	0.4%
დანსაცმელი და ფეხსაცმელი	4.3%	5.3%	0.2%	2.9%	0.1%
საცხოვრებელი სახლი, წყალი, ელექტროენერგია, აირი და სათბობის სხვა სახეები	9.7%	5.8%	0.6%	6.5%	0.6%
ავეჯი, საოჯახო ნივთები და მორთულობა, სახლის მოვლა-შეკეთება	5.0%	0.2%	0.0%	-2.4%	-0.1%
ჯანმრთელობის დაცვა	8.3%	1.1%	0.1%	4.9%	0.4%
დრანსპორტი	11.4%	4.9%	0.6%	10.3%	1.2%
კავშირგაბმულობა	3.1%	0.2%	0.0%	-4.0%	-0.1%
დასვენება, გართობა და კულტურა	4.2%	1.1%	0.0%	-0.4%	0.0%
განათლება	5.3%	0.0%	0.0%	2.4%	0.1%
სასტუმროები, კაფეები და რესტორნები	3.3%	1.2%	0.0%	7.5%	0.2%
სხვადასხვა საქონელი და მომსახურება	5.1%	-0.1%	0.0%	9.0%	0.5%
ხანმოკლე მოხმარების საქონელი	59.8%	2.1%	1.3%	8.1%	4.8%
საშუალო ხანგრძლივობის მოხმარების საქონელი	7.9%	3.2%	0.2%	1.9%	0.1%
ხანგრძლივი მოხმარების საქონელი	5.6%	-0.2%	0.0%	-1.4%	-0.1%
მომსახურება	26.7%	0.7%	0.2%	3.7%	1.0%

წყარო: საქსტატი

საბანკო სექტორი


მარცში საბანკო სექტორის სადეპოზიტო ვალდებულებები წლიურად, 11.0 მლრდ ლარით, 18.8%-ით გაიზარდა (გაცვლითი კურსის ეფექტის გამორიცხვით 19.4%-ით) და 69.5 მლრდ ლარი შეადგინა. თვის წრიულში კი, იმავე მაჩვენებელმა 1.6 მლრდ ლარით მოიმატა. წინა წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით, ეროვნული ვალუდის სადეპოზიტო ვალდებულებები 9.5 მლრდ ლარით (34.3%-ით), ხოლო წინა თვესთან შედარებით 0.4 მლრდ ლარით (1.2%-ით) გაიზარდა და 37.1 მლრდ ლარი შეადგინა. რაც შეეხება, უცხოური ვალუდის დეპოზიტებს, მისმა მოცულობამ წლიურად 1.5 მლრდ ლარით (4.9%) მოიმატა, ხოლო წინა თვესთან შედარებით, 1.2 მლრდ ლარით (3.8%-ით) გაიზარდა.

სადაპოზიტო ვალდებულებები



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი


სადაპოზიტო ვალდებულებები



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი


მარცში მთლიანი დეპოზიტების საშუალო შენონილი საპროცენტო განაკვეთები (მთავრობის დეპოზიტებზე არსებული საპროცენტო განაკვეთების გარეშე), წინა თვესთან შედარებით 0.3 პპ-ით შემცირდა და 5.7%-ს გაუცოლდა. ეროვნული ვალუდით განთავსებულ დეპოზიტებზე საპროცენტო განაკვეთი 0.2 პპ-ით, 7.2%-მდე, შემცირდა. ხოლო უცხოური ვალუდით დენომინირებულ დეპოზიტებზე, საშუალო შენონილი წლიური საპროცენტო განაკვეთი, 0.4 პპ-ით, 1.7%-მდე, შემცირდა. რეზიდენტების ლარის ვადიანი დეპოზიტების საპროცენტო განაკვეთები კი 0.4 პპ-ით 9.9%-მდე, ევროს ვადიანი დეპოზიტების საპროცენტო განაკვეთები 0.3 პპ-ით, 1.5%-მდე შემცირდა. რეზიდენტების აშშ დოლარით განთავსებული დეპოზიტების საპროცენტო განაკვეთები კი მეცნილად უცვლელად შენარჩუნდა და 2.5%-ს გაუცოლდა.

დეპოზიტების საპროცენტო განაკვეთები (მთავრობის გარეშე, ნაკადი)



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი


რეზიდენტების ვადიანი დეპოზიტების საპროცენტო განაკვეთები ვალუდების მიხედვით (ნაკადი)



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი


დეპოზიტების დოლარიზაცია მარცში 0.6 პპ-ით გაიზარდა და 46.6% შეადგინა. მარცის ბოლოს, ფიზიკური პირების დეპოზიტების დოლარიზაცია თითქმის უცვლელად შენარჩუნდა და 60.5% შეადგინა. იურიდიული პირების დოლარიზაცია 1.7 პპ-ით, 37.0%-მდე, გაიზარდა. ამასთან, ფიზიკური პირების ვადიანი დეპოზიტების დოლარიზაცია, მარცში, წინა თვესთან შედარებით 0.5 პპ-ით, 54.1%-მდე შემცირდა.

დემოზიფიკაციის დოლარიზაცია (კურსის ეფექტის გამორიცხვით)



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი


ფიზიკური პირების ვალდანი დემოზიფიკაციის დოლარიზაცია (კურსის ეფექტის გამორიცხვით)



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი


მარცში, გაცვლითი კურსის ეფექტის გამორიცხვით, სესხების ზრდის ტემპი 0.7 პპ-ით გაიზარდა და წლიური მაჩვენებელი 14.9%-ს გაუტოლდა. აღნიშნული, როგორც უცხოური ვალუტის, ისე ეროვნული ვალუტის დაკრედიტების ზრდის ტემპის მატებამ განაპირობა. კერძოდ, უცხოური ვალუტის სესხების ზრდის ტემპი 0.9 პპ-ით, 13.6%-მდე, გაიზარდა, ხოლო ეროვნული ვალუტით დაკრედიტების წლიური ზრდის ტემპი თვის წრილში 0.6 პპ-ით გაიზარდა და 16.0% შეადგინა. მთლიანი სესხების ზრდაში დაახლოებით 9.1 პპ-იანი წვლილი ლარის, ხოლო 5.9 პპ უცხოური ვალუტის დაკრედიტებამ შეიტანა. საკრედიტო პორტფელის მიზნობრიობის წრილში, დაკრედიტების ზრდის ტემპის გაზრდა, მეტწილად, ბიზნესის ციკლის სესხებით აიხსნება, რომლის წვლილიც მთლიანი სესხების ზრდაში 0.7 პპ-ით გაიზარდა 7.4 პპ-მდე.

სესხების წლიური ზრდის ტემპი (წვლილი ზრდაში; კურსის ეფექტის გამორიცხვით)



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

სესხები მიზნობრიობის მიხედვით (წვლილი ზრდაში; კურსის ეფექტის გამორიცხვით)



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი


მარცში სესხების საშუალო შეწონილი საპროცენტო განაკვეთი წინა თვესთან შედარებით, 0.5 პპ-ით შემცირდა და 13.0% შეადგინა. ეროვნული ვალუტით გაცემულ კრედიტებზე საპროცენტო განაკვეთი 0.3 პპ-ით, 15.5%-მდე შემცირდა, თუმცა უცხოური ვალუტით გაცემული სესხების საპროცენტო განაკვეთი 0.3 პპ-ით 9.1%-მდე გაიზარდა.

საპროცენტო განაკვეთები იურიდიულ პირებაზე გაცემულ სესხებაზე (ნაპალი)



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

საპროცენტო განაკვეთები იპოთეკურ სესხებაზე (ნაპალი)





წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

მარცში იურიდიულ პირებისა და იპოთეკურ სესხების საპროცენტო განაკვეთები ეროვნულ ვალუტაში წინა თვესთან შედარებით, 0.1 პპ-ებით შემცირდა და, შესაბამისად, 12.9% და 11.9% შეადგინა. ამავდროულად, იურიდიული პირების უცხოური ვალუტის სესხების საპროცენტო განაკვეთი 0.1 პპ-ით გაიზარდა და 9.2% შეადგინა, ხოლო იპოთეკური სესხების უცხოური ვალუტის საპროცენტო განაკვეთი 0.2 პპ-ით, 7.8%-მდე შემცირდა.

მარცში მთლიანი საკრედიტო პორტფელის დოლარიზაცია 0.3 პპ-ით, 42.5%-მდე, გაიზარდა. იურიდიული პირების სესხების დოლარიზაცია, წინა თვესთან შედარებით 0.3 პპ-ით გაიზარდა და 65.5% შეადგინა. ფიზიკური პირების სესხების დოლარიზაცია კი უცვლელია და 22.4%-ს შეადგენს. მარცში, ვადაგადაცილებული სესხები, წინა თვესთან შედარებით, 67.7 მლნ ლარით შემცირდა და 708.4 მლნ ლარს გაუცოლდა. ვადაგადაცილებული სესხების 43.8% ეროვნული ვალუტით არის დენომინირებული.

დოლარიზაცია (კურსის ეფექტის გამორიცხვით)

ვადაგადაცილებული დავალიანება



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი



საბარეო სექტორი

2026 წლის მარცში საქონლის რეგისტრირებული საგარეო ვაჭრობის დეფიციტი წინა წლის შესაბამის თვესთან შედარებით 6.5%-ით გაუზოგბესდა და -895.3 მლნ აშშ დოლარი შეადგინა. აღნიშნულ პერიოდში საქონლის იმპორტი წლიურად 4.7%-ით გაიზარდა და 1.6 მლრდ აშშ დოლარს გაუცოლდა, ხოლო ექსპორტი 24.0%-ით გაიზარდა და 697.0 მლნ აშშ დოლარი შეადგინა. აქედან, მსუბუქი ავტომობილების კონტრიბუციამ ექსპორტში -12.0 პპ, ხოლო იმპორტში -5.7 პპ შეადგინა.

ამასთან, ადგილობრივი ექსპორტის ზრდა 2026 წლის მარცშიც გაგრძელდა. კერძოდ, წლიურად 82.9%-იანი ზრდის შედეგად 463.1 მლნ აშშ დოლარს მიაღწია.

საქონლის ექსპორტ-იმპორტისა და სავაჭრო ბალანსის დინამიკა (მლნ აშშ დოლარი)

სავაჭრო ბალანსი ქვეყნების მიხედვით (მარტი 2026)



წყარო: საქსტატი


წყარო: საქსტატი

იმპორტი - მარცში საქონლის იმპორტის ზრდა ძირითადად განპირობებული იყო შუალედური მოხმარების საქონლით, რომლის წვლილმა 5.5 პპ შეადგინა. საპირისპიროდ, უმნიშვნელოდ შემცირდა სამომხმარებლო საქონლის იმპორტი (-0.9 პპ კონტრიბუციით).


შუალედური მოხმარების საქონლის წილში აღსანიშნავია ნედლი ნავთობისა და ნავთობის აირების იმპორტის ზრდა. სამომხმარებლო საქონელში, ერთი მხრივ, გაზრდილია ნავთობპროდუქტების იმპორტი, ხოლო მეორე მხრივ, მნიშვნელოვნად არის შემცირებული მსუბუქი ავტომობილების იმპორტი, რომლის კონტრიბუციამ, როგორც აღინიშნა, -5.7 პპ შეადგინა. თუმცა, მსუბუქი ავტომობილების გამორიცხვით, სამომხმარებლო იმპორტის ზრდის ტენდენციაა. რაც შეეხება საინვესტიციო საქონლის იმპორტის ზრდას, ერთგვარადი ფაქტორებით იყო გამოწვეული.

საქონლის იმპორტი სასაქონლო კატეგორიების მიხედვით (წვლილი ზრდაში)

საქონლის იმპორტი (წილი მთლიან იმპორტში)



წყარო: საქსტატი



წყარო: საქსტატი

ქვეყნების ჯგუფის წრილში, მარცხის იმპორტის წლიურ ცვლილებაში ევროკავშირის ქვეყნები მცირედით ზრდის მიმართულებით მოქმედებდა, კერძოდ, წვლილმა 0.2 პპ შეადგინა. აღნიშნული ქვეყნების ჯგუფში, სასაქონლო წრილში ზრდას ძირითადად სამკერძო საშუალებები, მობილური და კომპიუტერული ტექნიკა განაპირობებდა. საპირისპიროდ მნიშვნელოვნად შემცირდა მსუბუქი ავტომობილების იმპორტი. შედეგად, ევროკავშირის წილი ავტომობილების მთლიან იმპორტში წლიურად 24.3%-დან 20.3%-მდე შემცირდა.

ქვეყნებს შორის იმპორტი მეტწილად იზრდებოდა რუსეთიდან და ჩინეთიდან, ხოლო კლების მიმართულებით ყველაზე დიდი წვლილი აშშ-ს ჰქონდა.


- რუსეთიდან გაზრდილია ნავთობის აირების და ნავთობპროდუქტების იმპორტი.
- ჩინეთიდან იმპორტი ძირითადად გაზრდილია სამრეწველო პროდუქციის ხარჯზე.
- აშშ-დან შემცირებული იყო მსუბუქი ავტომობილების იმპორტი.

აღნიშნულ თვეში, ევროკავშირისა და 4 ძირითად სავაჭრო პარტნიორ ქვეყანაზე მთლიანი იმპორტის 62.2% მოდიოდა.


აღსანიშნავია, რომ პროდუქტების წრილში, მარცხში იმპორტირებულ საქონელში წამყვანი წილი მსუბუქი ავტომობილებისა და ნავთობპროდუქტების იმპორტს ეკავა.

ქვეყნების წილი საქონლის იმპორტში (მარტი 2026)

საქონლის ექსპორტი სასაქონლო კატეგორიების მიხედვით (წვლილი ზრდაში)



წყარო: საქსტატი; საქართველოს ეროვნული ბანკის გაანგარიშება




წყარო: საქსტატი


ექსპორტი - მარცხში საქონლის რეგისტრირებული ექსპორტის წლიური ზრდა ძირითადად განპირობებული იყო შუალედური (16.3 პპ კონტრიბუციით) და სამომხმარებლო (7.6 პპ კონტრიბუციით) საქონლის ექსპორტით. ასევე უმნიშვნელოდ გაზრდილია საინვესტიციო საქონელი (0.1 პპ კონტრიბუციით).

შუალედური მოხმარების საქონლის ჯგუფიდან გაზრდილი იყო ადგილობრივი წარმოების პროდუქტების, ძვირფასი ლითონების მადნების, სპილენძის მადნებისა და ფეროშენადნობების ექსპორტი.

სამომხმარებლო საქონლის ჯგუფიდან გაზრდილია ნავთობპროდუქტების ექსპორტი, ხოლო მსუბუქი ავტომობილების რეექსპორტი განაგრძობდა შემცირებას -12.0 პპ წვლილით.



წყარო: საქსტატი



წყარო: საქსტატი; საქართველოს ეროვნული ბანკის გაანგარიშება

ქვეყნის გუფის წილში, მარტის ექსპორტის წლიურ ცვლილებაში, ეროკავშირის ქვეყნებიდან მიღებულ საქსპორტო შემოსავლების წვლილმა 1.8 პპ შეადგინა. ეს ძირითადად ძვირფასი ლითონების მადნების ექსპორტის ზრდას უკავშირდებოდა. თუმცა მინერალური სასუქების ექსპორტი შემცირებულია.

ამავე პერიოდში, ქვეყნებს შორის, საქსპორტო შემოსავლები ძირითადად ჩინეთიდან და თურქეთიდან გაიზარდა. თუმცა ექსპორტი ცენტრალური აზიის ქვეყნებში შემცირებულია, მსუბუქი ავტომობილების რექსპორტის კლების გამო.

ჩინეთში ძირითადად გაზრდილია ნავთობპროდუქტებისა და სპილენძის მადნების ექსპორტი. თურქეთიდან საქსპორტო შემოსავლების ზრდა ასევე ნავთობპროდუქტებს უკავშირდება.

მარტში საქონლის ექსპორტის უდიდესი წილი მსუბუქ ავტომობილებს (21.3%-იანი წილი მთლიან ექსპორტში) ეჭირა. ძირითადი საქსპორტო პროდუქტებიდან გაზრდილია ძვირფასი ლითონების მადნების, სპილენძის მადნებისა და ფეროშენადნობების ექსპორტიდან მიღებული შემოსავალი.



წინა წელთან შედარებით სასაქონლო გუფების მიხედვით ექსპორტი უფრო მეტად დივერსიფიცირებული იყო.

ფულადი გზავნილები - მარტში საქართველოში გადმორიცხული ფულადი გზავნილების მოცულობა წლიურად 9.8%-ით, 320.6 მლნ აშშ დოლარამდე, გაიზარდა. ხოლო საქართველოდან გადარიცხული თანხების მოცულობა 14.5%-ით, 36.7 მლნ აშშ დოლარამდე. ზრდაში წამყვანი კონტრიბუცია ეროკავშირიდან მიღებულმა ფულადმა გზავნილებმა (4.8 პპ) შეიძინა წლიური 10.7%-იანი ზრდით. 10.9%-ით ზრდას განაგრძობდა აშშ-დან მიღებული გზავნილები (კონტრიბუცია 2.1 პპ). ისრაელიდან გზავნილების ზრდამ წლიურად 25.2%, ხოლო წვლილმა ზრდამი დადებითი 1.9 პპ შეადგინა.

მარტში ფულადი გზავნილების ძირითად წყაროს ეროკავშირის ქვეყნები (45.4%), აშშ (19.0%) და რუსეთი (11.9%) წარმოადგენდა. ეროკავშირის ქვეყნებიდან აღსანიშნავია იტალიის (17.2%), გერმანიის (8.8%) და საბერძნეთის (8.4%) მაღალი წილი.

ქვეყნის წილი სწრაფ ფულად გზავნილებში (მარტი 2026)

ფულადი გზავნილების ზრდა (წლილი ზრდაში ქვეყნის მიხედვით)




წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

სავალუტო ბაზარი


მარცში, წინა თვესთან შედარებით, ლარის საშუალო გაცვლითი კურსი აშშ დოლარის მიმართ 2.6818-დან 2.7188-მდე (1.4%-ით) გაუფასურდა, ხოლო ევროს მიმართ 3.1723-დან 3.1460-მდე (0.8%) გამყარდა. თვის ბოლოს ლარის ოფიციალურმა გაცვლითმა კურსმა აშშ დოლარისა და ევროს მიმართ 2.6998 და 3.1032 შეადგინა. აღნიშნულ პერიოდში ლარი-დოლარის გაცვლითი კურსის მაქსიმალური მნიშვნელობა 2.7470 იყო, მინიმალური კი - 2.6759.

ლარის ნომინალური გაცვლითი კურსი აშშ დოლარისა და ევროს მიმართ



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

ლარი/დოლარის გაცვლითი კურსის ყოველთვიური მერყეობის დიაგრამა




წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

მარცში, საშუალო კურსთან შედარებით, გაცვლითი კურსის მინიმალური მნიშვნელობა მაქსიმალურზე მეტად იყო გადახრილი.


მარცში, საშუალოდ დოლართან მიმართებაში, საქართველოს თითქმის ყველა სავაჭრო პარტნიორის ვალუტა გაუფასურდა. შესამჩნევი იყო რუსული რუბლის გაუფასურება. ასევე გაუფასურდა ევრო, ლარი და თურქული ლირა. სომხური დრამი და აზერბაიჯანული მანათი კი პრაქტიკულად არ შეცვლილა.

თვის განმავლობაში საშუალო კურსიდან გადახრა (ლარი/დოლარი)



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

ძირითადი სავაჭრო პარტნიორების საშუალო თვიური გაცვლითი კურსების¹ თვიური ცვლილება დოლართან მიმართებით (მარტი 2026; ზრდა=გაუფასურება)



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

ლარის რეალური ეფექტური გაცვლითი კურსი (REER) წლიურად 1.7%-ით გაუფასურდა, თვის წრილში კი პრაქტიკულად არ შეცვლილა. აღნიშნული გაუფასურება მეტწილად საქართველოსა და მის სავაჭრო პარტნიორ ქვეყნებს შორის ინფლაციითა დიფერენციალით აიხსნება. რაც შეეხება ნომინალური ეფექტური გაცვლითი კურსის ინდექსს (NEER), მარცში წლიურად 3.7%-ით, თვის წრილში კი 0.1%-ით გამყარდა.


ზოგადად, ეფექტური კურსის გაუფასურება ქვეყნის კონკურენტუნარიანობაზე დადებითად აისახება, თუმცა იმპორტულ ინფლაციაზე ზრდის მიმართულებით მოქმედებს.

სავაჭრო პარტნიორთაგან მარცში წლიური ინფლაცია თურქეთში, უკრაინაში, რუსეთში, ბელარუსში, აზერბაიჯანსა და სომხეთში საქართველოსთან შედარებით მაღალი იყო, ხოლო აშშ-სა და ევროზონაში - დაბალი.

გლობალურად მომადგებელი გაურკვევლობის და გაზრდილი ინფლაციური რისკების ფონზე ძირითადი სავაჭრო პარტნიორი ქვეყნების ინფლაციების კლება შენელდა.


¹წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი <https://nbg.gov.ge/statistics/statistics-data>

ლარის ნომინალური და რეალური ეფექტური გაცვლითი კურსის ინდექსები (იან 2020=100)



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

საპაჭრო პარცნიორი ქვეყნების ინფლაციები (მარტი 2026)




წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

სავალუტო ბაზრის ტენდენციები


მარცში ბანკთაშორის სავალუტო ბაზარზე მონაწილეობდა 16 კომერციული ბანკი, 2 მიკრობანკი და 5² არასაბანკო ორგანიზაცია. სავალუტო ბაზრის მაჩვენებლების მიხედვით შერფინდალ-ჰირშმანის ინდექსი შემცირდა და დაბალ დონეზე ნარჩუნდება, რაც სავალუტო ბაზრის მაღალ კონკურენტულობაზე მიუთითებს.

ბანკთაშორის სავალუტო ბაზრის მთლიანი საპაჭრო ბრუნვა



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

ბანკთაშორის სავალუტო ბაზრის კონცენტრაციის მაჩვენებლები 5 ყველაზე აქტიური ორგანიზაციის წილებს მიხედვით




წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

მარცში ბანკთაშორის სავალუტო ბაზარზე ვაჭრობის მოცულობა შემცირებულია, როგორც თვის ასევე წლიურ ფრილში. აღნიშნულ თვეში აშშ დოლარი/ლარის ვაჭრობის მთლიანმა ბრუნვამ 161.8 მლნ აშშ დოლარი შეადგინა, რაც წინა თვესთან შედარებით 369.9 მლნ აშშ დოლარით, წინა წლის მარცთან შედარებით კი - 66.5 მლნ აშშ დოლარით ნაკლებია. ბაზრის მონაწილეებს შორის დადებული გარიგებების რაოდენობა წინა თვესთან შედარებით 3.5%-ით გაიზარდა, წლიურად კი 18.4%-ით შემცირდა.


მარცში სავალუტო ბაზარზე ყიდვა-გაყიდვების აქტივობები (უცხოური ვალუტით ლარის შექენა და პირიქით განხორციელებული ტრანზაქციები) თითქმის მთლიანად სპოტ³ გარიგებებით ხდებოდა (99.6%) და მთლიანმა ვაჭრობამ 3,475.1 მლნ აშშ დოლარი შეადგინა, რაც წლიურად 430.3 მლნ აშშ დოლარითაა გაზრდილი, ხოლო თვის ფრილში - 56.9 მლნ აშშ დოლარით. სპოტ გარიგებების ძირითადი ნაწილი - იურიდიულ პირებსა და შინამეურნეობებზე, მცირე კი არარეზიდენტ ბანკებზე მოდიოდა. საქართველოს ეროვნული ბანკის წილი მთლიან ვაჭრობაში 0.5% იყო. წესებზე დაფუძნებული ორმხრივი ინტერვენციების მექანიზმის გამოყენებით, თვის განმავლობაში, ეროვნული ბანკის წმინდა გაყიდვამ 16.2 მლნ აშშ დოლარი შეადგინა.

² რომლებიც მონაწილეობენ ბანკთაშორის სავალუტო ბაზარზე დადებულ გარიგებებში.
³ სპოტ გარიგება ხდება იმავდროული ვალუტირებით, იმ დროისთვის არსებული კურსით.

საბ-ის მონაწილეობა სავალუტო ბაზარზე



საოტ გარიგებებით უცხოური ვალუტით ვაჭრობა



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი


წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

მარტში საოტ გარიგებებით კომერციული ბანკებისგან დანარჩენი ეკონომიკური აგენტების მიერ წლიურად უცხოურ ვალუტაზე გაზრდილია როგორც მოთხოვნა, ასევე მიწოდება.


საერთო ჯამში, წინა წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით, მარტში საოტ გარიგებებით კომერციული ბანკებისგან დანარჩენი ეკონომიკური აგენტების მიერ უცხოურ ვალუტაზე მოთხოვნა წლიურად 178.3 მლნ აშშ დოლარით გაიზარდა (თვის წრილში 73.8 მლნ აშშ დოლარით შემცირდა) და 1,746.7 მლნ აშშ დოლარი შეადგინა. ხოლო მიწოდება წლიურად 251.9 მლნ აშშ დოლარით გაიზარდა (თვის წრილში 130.7 მლნ აშშ დოლარით) და 1,728.4 მლნ აშშ დოლარი შეადგინა. საოტ გარიგებებით როგორც ვალუტის შექმნაში, ისე გაყიდვაში ყველაზე დიდი წილი იურიდიულ პირებსა და შინამეურნეობებზე მოდიოდა.

მარტში სავალუტო ფორვარდ⁴ გარიგებებით (უცხოური ვალუტით ლარის შექმნა და პირიქით განხორციელებული ტრანზაქციები) კომერციულ ბანკებსა და სხვა ეკონომიკურ აგენტებს შორის უცხოური ვალუტით ვაჭრობა წლიურად 16.3 მლნ აშშ დოლარით შემცირდა (თვის წრილში - 6.6 მლნ აშშ დოლარით) და 15.0 მლნ აშშ დოლარი შეადგინა. ფორვარდ გარიგებებით ვაჭრობის ძირითადი ნაწილი იურიდიულ პირებსა და არარეზიდენტ ბანკებზე მოდიოდა. ფორვარდ გარიგებებით დანარჩენი ეკონომიკური აგენტების მიერ ბანკებისგან უცხოური ვალუტის წმინდა გაყიდვამ 1.5 მლნ აშშ დოლარი შეადგინა.

ბანკთაშორისი საოტ გარიგებებით შექმნილი და გაყიდული უცხოური ვალუტა



ფორვარდ გარიგებებით უცხოური ვალუტით ვაჭრობა



* გრაფიკზე წარმოდგენილი სიდიდეები ასახავს უცხოური ვალუტით ლარის შექმნისა და პირიქით განხორციელებული ტრანზაქციების ბრუნვებს

* გრაფიკზე წარმოდგენილი სიდიდეები ასახავს უცხოური ვალუტით ლარის შექმნისა და პირიქით განხორციელებული ტრანზაქციების ბრუნვებს


წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

მარტის მდგომარეობით, წინა თვესთან შედარებით, ოფიციალური საერთაშორისო რეზერვები 343.4 მლნ აშშ დოლარით შემცირდა, რეზერვების მთლიანმა მოცულობამ კი 6.3 მლრდ აშშ დოლარი შეადგინა. რეზერვებზე შემცირების მიმართულებით მთავრობის სავალუტო ხარჯები (სესხის მომსახურება), საერთაშორისო ბაზრებზე ოქროს ფასის კლების გამო მონეტარული ოქროს გადაფასება და სავალუტო ინტერვენციების საშუალებით უცხოური ვალუტის წმინდა გაყიდვა მოქმედებდა. მეორე მხრივ, ზრდის მიმართულებით მთავრობის მიერ მიღებული სავალუტო ჩარიცხვები და რეზერვებზე საპროცენტო შემოსავლები აისახებოდა.


⁴ სავალუტო ფორვარდული კონტრაქტი არის ფართოდ მოხმარებადი ფინანსური ინსტრუმენტი, რომელიც გამოიყენება სავალუტო რისკების მკვირებისათვის (დაზღვევისათვის). ფორვარდი იძლევა შესაძლებლობას, წინასწარ განსაზღვრული კურსით, დღეს დაიდოს სავალუტო გარიგება ხოლო შესაბამისი ანგარიშსწორება განხორციელდეს მომავალში.

ეროვნული ბანკის ოფიციალური საერთაშორისო რეზერვები



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

მთლიანი საერთაშორისო რეზერვების თვიური ცვლილება (მიმდინარე კურსით)




წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

ფულადი ბაზარი

მარცში სადებოზიციო სერტიფიკატების ერთი აუქციონი ჩატარდა და 20 მლნ ლარის ღირებულების სამთვიანი სადებოზიციო სერტიფიკატი გაიყიდა. ამავე პერიოდში 20 მლნ ლარის ერთი სადებოზიციო სერტიფიკატი დაიფარა. შესაბამისად, წინა თვესთან შედარებით, სადებოზიციო სერტიფიკატების ნაშთი არ შეცვლილა და 60 მლნ ლარი შეადგინა.


მარცში სახაზინო ფასიანი ქაღალდების ექვსი აუქციონი ჩატარდა. აღნიშნულ აუქციონებზე ჯამში 220.0 მლნ ლარის ნომინალური ღირებულების სახელმწიფო ფასიანი ქაღალდები განთავსდა. ჩატარებულ აუქციონებზე გაიყიდა 6-თვიანი, ერთწლიანი, სამწლიანი, ხუთწლიანი და ორი ათწლიანი ვადიანობების სახაზინო ფასიანი ქაღალდები, რომლებიც, შესაბამისად, 20, 20, 40, 50 და 90 მლნ ლარის ოდენობით განთავსდა. **სახაზინო ფასიანი ქაღალდების ნაშთი წინა თვესთან შედარებით 186.0 მლნ ლარით გაიზარდა და 11,591.5 მლნ ლარი შეადგინა. მთლიანი პორტფელის 70.0%-ს კომერციული ბანკების, 9.7%-ს ეროვნული ბანკის, 16.0%-ს რეზიდენტების, ხოლო 4.2%-ს არარეზიდენტების მფლობელობაში არსებული სახაზინო ფასიანი ქაღალდები შეადგენს.**

სადებოზიციო სერტიფიკატების მოცულობა (ნაპალი)



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი


სახაზინო ფასიანი ქაღალდების მოცულობა



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი


მარცში როგორც სადებოზიციო სერტიფიკატების საპროცენტო განაკვეთები, ასევე სახაზინო ვალდებულებებისა და სახაზინო ობლიგაციების საპროცენტო განაკვეთებიც მეტწილად შემცირდა. კერძოდ, მარცში, წინა თვესთან შედარებით, სადებოზიციო სერტიფიკატებზე საშუალო შენონილი საპროცენტო განაკვეთი 0.1 პპ-ით, 7.8%-მდე, შემცირდა. ექვსთვიანი სახაზინო ვალდებულებების საპროცენტო განაკვეთებიც 0.1 პპ-ით შემცირდა და 7.8% შეადგინა. ერთ წლიანი სახაზინო ვალდებულებების საპროცენტო განაკვეთები უცვლელად 8.0%-ზე შენარჩუნდა. 3 და 5 წლიანი სახაზინო ობლიგაციების საპროცენტო განაკვეთები 0.3 და 0.5 პპ-ით შემცირდა და შესაბამისად 8.4% და 8.6% შეადგინა. უცვლელად შენარჩუნდა 10 წლიანი სახაზინო ობლიგაციების საპროცენტო განაკვეთები 9.4%-ზე.

ფულადი ბაზრის საპროცენტო განაკვეთები



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

ლარის შამოსავლიანობის გრადი




წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

მარტში ბანკთაშორისი ფულადი ბაზრის მოცულობა თვის წრილში 169.3 მლნ ლარით (წლიურად 2,363.9 მლნ ლარით შემცირდა) 19,492.6 მლნ ლარამდე გაიზარდა, რაც მეტწილად უცხოური ვალუტის რესურსით არის განპირობებული. ბანკთაშორისი ფულადი ბაზრის დიდი წილი უცხოური ვალუტის ბრუნვაზე მოდის (81.2%), რომლის მოცულობაც თვის წრილში 540.8 მლნ ლარით (3.3%-ით) შემცირდა. ლარის რესურსის ბრუნვის მოცულობა კი თვის წრილში 710.1 მლნ ლარით (24.0%-ით) გაიზარდა.

რაც შეეხება საპროცენტო განაკვეთებს, ბანკთაშორის ბაზარზე ლარის საშუალო შეწონილი საპროცენტო განაკვეთი თვის წრილში შემცირდა 0.1 პპ-ით და 7.66% შეადგინა. ხოლო უცხოური ვალუტის საშუალო შეწონილი საპროცენტო განაკვეთი უცვლელად 1.5%-ზე შენარჩუნდა.

აღსანიშნავია, რომ მარტში ფულადი ბაზრის რესურსის 26.6% ერთ თვემდე ვადიანობის დეპოზიტებზე, ხოლო 72.6% კი მიმდინარე ანგარიშებზე განთავსებულ რესურსზე მოდიოდა.

ბანკთაშორისი ფულადი ბაზარი



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი


მონეტარული აბრეგატები

მარტში, წინა თვესთან შედარებით, სარეზერვო ფულის მოცულობა 496.2 მლნ ლარით (1.9%-ით) შემცირდა და პერიოდის ბოლოსთვის, 7.9 მლრდ ლარი შეადგინა. საშუალო მაჩვენებლის მიხედვით კი, წინა თვესთან შედარებით, 223.4 მლნ ლარით (2.6%-ით) შემცირდა.

მარტში სავალუტო აუქციონების გამოყენებით ეროვნულ ბანკს ოპერაციები არ განუხორციელებია. BMatch პლატფორმის წესებზე დაფუძნებული მექანიზმის გამოყენებით ეროვნული ბანკის წმინდა სავალუტო გაყიდვებმა თვის განმავლობაში 16.2 მლნ აშშ დოლარი შეადგინა. ამასთან, შიდა სამთავრობო კონვერტაციებით ეროვნული ბანკის წმინდა სავალუტო გაყიდვებმა 36.9 მლნ აშშ დოლარი შეადგინა. აღნიშნული ოპერაციების შედეგად, წმინდა უცხოური აქტივები 53.1 მლნ აშშ დოლარით შემცირდა.


მარტში მთავრობის დეპოზიტებზე არსებული სახსრები 467.9 მლნ ლარით გაიზარდა და მისი მოცულობა პერიოდის ბოლოსთვის, 1,322.1 მლნ ლარს გაუტოლდა.

სარეზერვო ფულის თვიური ცვლილება კომპონენტების მიხედვით



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

ფულადი აგრეგატი




წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

მარცში ნაღდ ფულზე მოთხოვნა 9.3 მლნ ლარით შემცირდა. ამასთან რეფინანსირების სესხების მოცულობა, წინა თვესთან შედარებით, 285.0 მლნ ლარით გაიზარდა. ერთდღიანი სესხის ნაშთი არ შეცვლილა. მარცში დაიფარა 20.0 მლნ ლარის ნომინალური ღირებულების სადეპოზიტო სერტიფიკატები და განხორციელდა იმავე მოცულობით განთავსება. მეორად ბაზარზე, სახაზინო ფასიანი ქაღალდების შესყიდვის ოპერაციები არ განხორციელებულა. მთლიანობაში, მარცში ბანკების წმინდა დავალიანების მოცულობა 285.0 მლნ ლარით გაიზარდა და პერიოდის ბოლოსთვის, 3,655.6 მლნ ლარს გაუცოლდა.


მარცში ფართო ფულის (M3) მოცულობა თვიურად 0.9 მლრდ ლარით გაიზარდა, ხოლო ფართო ფულის M2 აგრეგატის მოცულობა თითქმის უცვლელად შენარჩუნდა.

საბანკო სექტორის ლიკვიდობაზე მოქმედი ფაქტორები



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

მონეტარული ოპერაციები



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

საქართველოს ეროვნული ბანკი 0114, ზვიად გამსახურდიას სანაპირო N1
ტელ: 240 64 88; ფაქსი: 240 65 77; ცხელი ხაზი: 240 64 06
ელ ფოსტა: info@nbg.ge; www.nbg.ge

